პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 216 (3700)

2

1968 წ. ნოემბერი, შაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

დეპეშა ზუგდიდიდან

ვადამდე და გადაჭარბებით

ზუგდიდის რაიონის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისთვის იკისრეს ვადამდე შეესრულებინათ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების წლევანდელი გეგმა-ვალდებულება.

სიტყვა საქმედ იქცა: სადღეისოდ რაიონში მოვამზადეთ 4 სპორტის ოსტატი (გეგმა კი ერთს ითვალისწინებდა), 12 პირველთანრიგოსნის მაგიერ ავზარდეთ 27, 116 მეორეთანრიგოსნის ნაცვლად — 132, 511 მესამეთანრიგოსნის ნაცვლად — 618. მოზარდთა თანრიგის ნორმატივი შეასრულა 851 ფიზკულტურელმა, რაც გეგმაზე შვიდით მეტია.

თვითვალდებულებით გათვალისწინებული იყო იმში და მში 930 ნიშნოსნის მომზადება. სადღეისოდ მოვამზადეთ 2335 ნიშნოსანი.

ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადება გრძელდება.

პ. ხორავა,
რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

კიდევ ერთი მემორიალი

ბაქო, 31 ოქტომბერი. გუშინ აქ დამთავრდა ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი შეჯიბრება ბადმინტონში. კრასნოდონის იატაკქვეშეთის გმირის, აზერბაიჯანელი ჭაბუკის ალი დადაშევის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირის გათამაშებაში სსრ კავშირის 8 უძლიერესმა გუნდმა მიიღო მონაწილეობა. მათ შორის ეს საპატიო ჯილდო მოიპოვა საბჭოთა ქვეყნის ჩემპიონმა პ. ჟელდკმა (დნეპროპეტროვსკი). უაღრესად მწვავედ წარიმართა ვაჟთა შეჯიბრების ფინალური ორთაბრძოლა. ერთმანეთს შეხვდნენ ბაქოელი ვ. ნიკიფოროვი და გამოცდილი ლენინგრადელი ოსტატი ა. სკაჩკოვი. გაიმარჯვა მასპინძელმა. ბაქოელებმა გუნდურ ჩათვლაშიც ისახელეს თავი — II ადგილზე დასტოვეს ლენინგრადელები.

სპორტის ზამთრის სახეობათა მოყვარულთათვის

დახურული ხელოვნური საციგურაოები აშენდება არხანგელსკში, ლიპეცკსა და სვერდლოვსკში; ხელოვნური საციგურაო ბილიკები — ლენინგრადში, ჩელიაბინსკსა და მოსკოვის ოლქის კრასნოგორსკში.

ახალი სათხილამურო ბაზები გაიხსნება კუიბიშევში, პეტროზავოდსკში, სმოლენსკში, კიევსა და მოსკოვის ოლქის სოფელ ჩულკოვოში.

სამთოსათხილამურო კომპლექსი ტრამპლინითა და სასტუმროთი აშენდება ქალაქ ზლატოუსტში.

ასეთია საკავშირო პროფსაბჭოს დადგენილება, რომელიც მიზნად ისახავს პროფკავშირთა სპორტული ბაზების გაფართოებასა და კეთილმოწყობას. მასში გათვალისწინებულია აიგოს 1969-73 წლებში დაახლოებით 40 ობიექტი.

სპორტულ ახალმშენებლობათა შორის არის ტურისტული ბაზები, ბიათლონისტთა სასროლეთები, სლალომის ტრასები, ტრამპლინზე ასასვლელი ამწეები. ქვეყნის ზოგიერთ რაიონში შეიქმნება განათებული სათხილამურო დისტანციები. რაც სპორტსმენებს საშუალებას მისცემს ივარჯიშონ დაღამების შემდეგაც. (საკდესი).

ბოლო ტურის წინ

აშხაბადი, 31 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მოჭადრაკე ქალთა 28-ე საკავშირო ჩემპიონატში გაიმართა კიდევ ორი ტური.

XVII ტურში ჩემპიონატის ლიდერები ნ. კონოპლიოვა და რ. ბილუნოვა ყაიმზე შეთანხმდნენ. მ. რანიკუმ დაამარცხა კ. სკეგინა, ა. ჩაიკოვსკაიამ — ლ. სტარჩენკო, ვ. ბორისენკომ — რ. ესტერკინა. დანარჩენი შეხვედრები გადაიდო. ნ. ალექსანდრიას ლ. რუდენკოსთან გადადებულ პარტიაში ზედმეტი პაიკი და მოგების შანსები აქვს.

XVIII ტურში სკეგინამ მოუგო ესტერკინას, რანიკუმ — რუდენკოს, ო. კაცკოვამ — ბილუნოვას, ნ. მედიანიკოვამ — ი. გურფინკელს, მ. შულმა — ნ. რუსინკევიჩს, ალექსანდრიამ — მ. სანაძეს. თ. ზელოვა — კონოპლიოვასა და სტარჩენკო — თ. გოლოვეის პარტიები ყაიმით დამთავრდა.

ბოლო ტურის წინ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: კონოპლიოვას 12,5 ქულა აქვს, რანიკუს — 12, ალექსანდრიასა და ჩაიკოვსკაიას — 11,5-11,5 ქულა და თითო გადადებული პარტია. ბოლო ტურში ლიდერები შემდეგ მეტოქეებს ხვდებიან: კონოპლიოვა — ალექსანდრიას, რანიკუ — სანაძეს, ხოლო ჩაიკოვსკაია — მედიანიკოვას.

რთული ამოცანის წინაშე

მოზარდ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი

დღეს საქართველოს ქალაქებში — გორსა და მახარაძეში იწყება მოზარდ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირის, ფინეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.

ტურნირში ასპარეზობენ 1950 წლის 1 სექტემბრის შემდეგ, აგრეთვე, 1951-52 წლებში დაბადებული ჭაბუკები. ეს მოთხოვნები ფეხბურთელთა მიმართ გაპირობებულია იმით, რომ მხოლოდ ამ ასაკის წარმომადგენლებს შეუძლიათ ითამაშონ უეფა-ს ტრადიციულ ევროპულ ტურნირში, რომელიც გაისად მაისში გაიმართება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ჭაბუკთა გუნდების ეს ტურნირი, რომლის დასკვნითი შეხვედრები გაიმართება თბილისში, ერთდროულად წარმოადგენს შესარჩევ თამაშებს უეფა-ს 1969 წლის პირველობისთვის. ამ შეჯიბრების რეგლამენტი გულისხმობს 16 გუნდის მონაწილეობას გათამაშების გადამწყვეტ ეტაპზე და ევროპის სახელმწიფოთა გუნდებმა უნდა იბრძოლონ ფინალში მოხვედრის უფლების მოსაპოვებლად. ამიტომაა, რომ გორის ჯგუფში მონაწილენი საკმაოდ რთული და საპასუხისმგებლო ამოცანის წინაშე დგანან.

„ლელოს" მკითხველებმა უკვე იციან, რომ გორში ითამაშებენ სსრ კავშირის, ფინეთისა და უნგრეთის, ხოლო მახარაძეში — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გუნდები. ქვეჯგუფებში შეჯიბრებათა დამთავრების შემდეგ შესაბამის ადგილებზე გასული გუნდები 8 ნოემბერს რუსთავში და 9 ნოემბერს თბილისში ითამაშებენ საბოლოო ადგილების გამოსავლენად.

ფეხბურთის მოყვარულთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება გაეცნონ სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობას: მეკარეები — ვ. ჩანოვი („შახტიორი", დონეცკი), ვ. კრიჟანოვსკი (ასკ, ჩიტა); მცველები — ვ. კოზინი („დილა", გორი), ნ. ჩიტაური (ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლა, თბილისი), ა. მირზოიანი („ნეფტჩი", ბაქო), ვ. ზვიაგინცევი („შახტიორი", დონეცკი), ვ. ბუტურლაკინი („ტორპედო", მოსკოვი), ა. ლუპანოვი („ყუბანი", კრასნოდარი); ნახევარმცველები — ბ. ხისამუტდინოვი („კაირატი", ალმა-ათა), ვ. აქსიონოვი („ვოლგა", კალინინი), ვ. ლუკინი („დაუგავა", რიგა), ნ. ტიმოფეევი („ლოკომოტივი", ჩელიაბინსკი); თავდამსხმელები — ო. კურაშინოვი („სპარტაკი", ნალჩიკი), ვ. აბრამოვი („ტორპედო", მოსკოვი), ვ. შევჩენკო („ნეფტჩი", ბაქო), ვ. საფონოვი („ტექსტილშჩიკი", ივანოვო), ი. დუდინსკი („შახტიორი", დონეცკი), ნ. კულიჩენკოვი („ტორპედო", მოსკოვი), ი. გრიგორიევი („სპარტაკი", მოსკოვი).

ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირს მოემსახურებიან საუკეთესო მსაჯები, მათ შორის, უცხოეთის ქვეყნების წარმომადგენლებიც.

ე. ლიადინი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი.

ოლიმპიადამდე დარჩა

მექსიკელი გენერალი, 1948 წლის ოლიმპიური ჩემპიონი საცხენოსნო სპორტში უმბერტო მარინესი თავის სამშობლოში გამართულ ოლიმპიადას ვერ დაესწრო. ასპარეზობის გახსნამდე რამდენიმე საათით ადრე იგი ციხეში მოათავსეს: მარინესს 20 წელი აქვს მისჯილი მკვლელობისთვის.

პროგნოზები და სინამდვილე

რამდენჯერ თქმულა და დაწერილა, რომ პროგნოზები სპორტში ძალზე სათუო და საჩოთირო საქმეა. იტყვი ერთს, გამოდის სულ სხვა...

პროგნოზები არ აკლდა მეხიკოს ოლიმპიურ ფიცარნაგსაც. „დიდი რკინის თამაში" აინტერესებდა ყველას. ბევრი გამოთქვამდა თავის მოსაზრებას, წინასწარმეტყველებდა როგორც შეეძლო.

ამ პროგნოზებიდან უმთავრესად გამართლდა ის, რომ ბრძოლას უკიდურესად მწვავე, დაძაბული ხასიათი ჰქონდა, მაგრამ ექსტრა-კლასის ახალი რეკორდები, რომლებსაც XIX ოლიმპიადაზე მოელოდნენ, არ დამყარებულა (ამ მხრივ წინასწარმეტყველებანი გამართლდა მძლეოსნობაში, ცურვაში და ზოგიერთ სხვა სახეობაში). კლასიკური სამჭიდის ჯამში ყველა მსოფლიო რეკორდი ძალაში დარჩა და მხოლოდ ცალკეულ მოძრაობებში შეძლეს უძლიერესმა ძალოსნებმა უმაღლესი შედეგების ჩვენება: მ. ნასირი (150 კგ, აკვრა), ვ. კურენცოვი (187,5 კგ, აკვრა), კ. კანგასნიემი (158 კგ, ატაცი), ი. ტალტსი (197,5 კგ, აკვრა) და სხვ.

საინტერესო განცხადებით გამოვიდა ოლიმპიური თამაშების დაწყების წინ ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი ო. სტეიტი (ინგლისი). მან წონითი კატეგორიების თანმიმდევრობით შემდეგი ფავორიტები დაასახელა: მ. ნასირი (ირანი), ი. მიაკე (იაპონია), ვ. ბაშანოვსკი (პოლონეთი), ვ. კურენცოვი (სსრ კავშირი), კ. არნოლდი (გდრ), კ. კანგასნიემი (ფინეთი), რ. ბედნარსკი (აშშ).

და აი, შეჯიბრება დამთავრდა. განსაკუთრებული ხენსაციები არ მომხდარა და სტეიტის პროგნოზიც თითქმის გამართლდა: ხუთ შემთხვევაში (შვიდიდან) მან სწორად ამოიცნო გამარჯვებული. ეს საკმაოდ ზუსტ პროგნოზად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან არც ერთ სხვა შეჯიბრებაში არ ხდება ფავორიტთა ცვლა ისე, როგორც ოლიმპიურ თამაშებში.

სტეიტისთვის სრულ მოულოდნელობას წარმოადგენდა ბ. ხელიცკის წარმატება საშუალო წონაში, მაგრამ მას არ უნდა შეშლოდა ოლიმპიური ჩემპიონის ვინაობა მძიმე წონაში. საერთოდ, ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის მდივანმა საბჭოთა შტანგისტებს ოქროს 1 მედალი უწინასწარმეტყველა (კურენცოვი), მათ კი მოიპოვეს 3 (კურენცოვი, ხელიცკი, ჟაბოტინსკი).

საბჭოთა ჟურნალ „სმენას" რედაქციამ აგრეთვე გამოაქვეყნა თავისი პროგნოზი ძალოსნობაში, რომელიც ასე „ანაწილებდა" ოქროს მედლებს: გ. ჩეტინი (სსრ კავშირი), ი. მიაკე, ვ. ბაშანოვსკი, ვ. კურენცოვი, დ. პუმო (აშშ), კ. კანგასნიემი და ჯ. დიუბი (აშშ). რედაქციის სპორტული განყოფილება შეცდა სამ სავარაუდო კანდიდატში, ვინაიდან სინამდვილეში ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ: მ. ნასირი, ი. მიაკე, ვ. ბაშანოვსკი, ვ. კურენცოვი, ბ. ხელიცკი, კ. კანგასნიემი და ლ. ჟაბოტინსკი.



სურათზე: პოლონელი მწვრთნელი ე. ბუჩაკი და მისი აღსაზრდელი, მექსიკის ჩემპიონი ფარიკაობაში პ. გ. პოლგანი.
ფოტო ე. სარატოვისა (საკდესი).

მსჯელობენ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაზე

მშენებლობა გაჭიანურდა

შედგა კომკავშირის ცხინვალის საქალაქო კომიტეტის მორიგი პლენუმი, რომელმაც განიხილა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის 16 ნოემბრის დადგენილების — „საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარება და კომკავშირის როლი" შესრულების საკითხი. მოხსენება გააკეთა სპორტკავშირის ცხინვალის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ხ. ჩიბიროვმა.

მომხსენებელმა თქვა, რომ ცხინვალში ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში ჩაბმულია 1.600-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი, საიუბილეო წელს გადაჭარბებით შესრულდა თანრიგოსნებისა და ნიშნოსნების, ფიზკულტურის ინსტრუქტორთა და საზოგადოებრივი კადრების, მსაჯთა მომზადების გეგმა. შეიქმნა ფიზკულტურის ახალი კოლექტივები, რომელთაგან უკეთესად მუშაობენ სამკერვალო ფაბრიკის და ელექტროვიბრომანქანის ქარხნის ორგანიზაციები.

მომხსენებელმა და კამათის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მუშაობის უკეთ წარმართვას და სპორტსმენთა დაოსტატებას ხელს უშლის ბაზების სიმცირე; გაჭიანურდა სპორტული დარბაზის მშენებლობა. პლენუმზე სამართლიანად გააკრიტიკეს იმ საწარმოთა ხელმძღვანელები, რომლებიც ბაზების მოწყობას ყურადღებას არ აქცევენ. მაგალითად დაასახელეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის, მომინანქრებული სადენების, ავტოსარემონტო და მექანიკური ქარხნების ხელმძღვანელები.

ითქვა, რომ ბევრი ფიზკულტურული კოლექტივი ფორმალურად არსებობს. არ ატარებენ მასობრივ ღონისძიებებს. სუსტად მუშაობენ, მაგალითად, ცხინვალვაჭრობის, № 1, № 2, № 3 ავტოსატრანსპორტო კონტორების, სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს, მექანიკური ქარხნის, ელექტროქსელის ფიზკულტურელები.

ფიზკულტურული მუშაობა არც სკოლებში დგას სათანადო სიმაღლეზე. იშვიათად ტარდება შიდასასკოლო სპარტაკიადები, შეჯიბრებები, ლაშქრობები. სწორედ ამის ბრალია, რომ ბავშვთა სპორტულ სკოლაში სუსტად მომზადებული გოგონები და ბიჭები მოდიან.

პლენუმზე აღინიშნა, რომ ქალაქის სპორტული ცხოვრების წარმმართველ ძალას კომკავშირი წარმოადგენს, მაგრამ როგორც საქალაქო კომიტეტი, ისე საწარმო-დაწესებულებათა და სასკოლო პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სპორტულ მუშაობას, უშუალო კავშირი არა აქვთ ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან, აქტიურად არ მონაწილეობენ სპორტულ-მასობრივ ღონისძიებებში.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ბავშვთა სპორტული სკოლის დირექტორმა ლ. ვალიევმა, მე-2 საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა რ. კოჩიევმა, სამკერვალო ფაბრიკის ფიზკულტურის მეთოდისტმა ა. არჩვაძემ, მექანიკური ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა თ. სიზოვმა, მომინანქრებული სადენების ქარხნის ფიზკულტურის მეთოდისტმა გ. პლიევმა, მე-3 საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა პ. ჩეხოვმა, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ტ. კულუმბეგოვმა.

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

საგრძნობლად გამოცოცხლდა

საქართველოს კპ ბორჯომის რაიკომის ბიურომ განიხილა „განთიადის" ბორჯომის რაისაბჭოს მუშაობის საკითხი. ბიურომ აღნიშნა, რომ საბჭომ უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გამოაცოცხლა მუშაობა, გადაჭარბებით შეასრულა ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადების გეგმები, გამართა შეჯიბრები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, მოაწყო ტურისტული ლაშქრობები და სხვ. მაგრამ იქვე ითქვა, რომ რაისაბჭოს მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებიც შეინიშნება. მაგალითად, აქ ჯერ კიდევ სუსტად იბრძვიან სპორტის მასობრიობისთვის. ცუდად მუშაობენ ჩითახევჰესის, ბაკურიანის ანდეზიტის წარმოების, ბორჯომის № 1 სამშენებლო სამმართველოსა და ზოგიერთი სხვა საწარმო-დაწესებულების ფიზკულტურული ორგანიზაციები. თითქმის ყველა კოლექტივში მოუგვარებელია ჩატარებულ ღონისძიებათა აღრიცხვა, რეგულარულად არ იწვევენ სხდომებს, ყურადღება არ ექცევა მიღებულ დადგენილებათა შესრულებას.

ბიურომ აღნიშნა ისიც, რომ რაიონის პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები სათანადო დახმარებას არ უწევენ რაისაბჭოს, ფიზკულტურულ კოლექტივებს, არ იბრძვიან სპორტის მასობრიობისთვის.

ბიურომ „განთიადის" რაიონულ საბჭოს დაუსახა მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი, რაიონის პარტიულ ორგანიზაციებს კი დაავალა დაეხმარონ საბჭოს დასახული ამოცანების განხორციელებაში.

მ. შარიქაძე.

ბორჯომი.

რაიონს ცუდად ამარაგებენ

ამას წინათ საქართველოს ალკკ წალენჯიხის რაიკომის პლენუმმა განიხილა რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხი.

რაიონის ფიზკულტურული ცხოვრების ავ-კარგზე ილაპარაკეს როგორც მომხსენებელმა — რაიკომის პირველმა მდივანმა მ. ძაძამიამ, ისე სიტყვებში გამოსულებმა. ითქვა, რომ ფიზიკური კულტურის განვითარებას ყურადღებით ეკიდებიან წალენჯიხის პირველი მაისის, ნაკიფუს, ორჯონიკიძის, ჯვარის კოლმეურნეობებში, წალენჯიხის № 1 ჩაის ფაბრიკასა და ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, წალენჯიხის 1-ლ და მე-2, ჯვარის 1-ლ და მე-2 სკოლებში, აგრეთვე, ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლაში.

აღინიშნა ისიც, რომ ბევრგან ფიზკულტურა და სპორტი მასობრივად არაა დანერგილი, ზოგან ფეხბურთის მინდვრისთვისაც კი არ გამოუყვიათ მიწის ნაკვეთი. რაიონი ცუდად მარაგდება სპორტინვენტარით, სპორტული ტანსაცმლით...

დასასრულს პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილებები მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის.

ო. სალაია.

წალენჯიხა.

4 ქულით უკეთესი

კიშინიოვში გაიმართა „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობა ტყვიის სროლაში. ასპარეზობაში, რომელიც ოლიმპიური პროგრამით ჩატარდა, მონაწილეობდა ასზე მეტი სპორტსმენი. ჩინებულად გამოვიდნენ თბილისის დინამოელები. 4 პირველი, 2 მეორე და 1 მესამე ადგილი — ასეთია ჩვენი წარგზავნილების შედეგი.

საქართველოს რეკორდების ცხრილში ხუთ წელიწადს უცვლელი იყო სპორტის ოსტატ ლ. ქურულის (ასკ) მიღწევა მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა სროლაში (589 ქულა). თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა ს. ზასკომ ამ ტურნირში ძველი რეკორდი 4 ქულით გააუმჯობესა და „დინამოს" ჩემპიონობაც მოიპოვა. მანვე მოიგო მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლა — 561 ქულა.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა გ. თავდიდიშვილმა „გაქცეულ ირემზე" სროლაში ორი გამარჯვება მოიხვეჭა. მან ჯერ 50 ერთმაგი გასროლა (231 ქულა) მოიგო, შემდეგ კი 50 ერთმაგი და 25 ორმაგი გასროლის ჯამში (444 ქულა) გამოიჩინა თავი. იგი მეორე იყო 25 ორმაგ გასროლაში — 213 ქულა.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა, სპორტის ოსტატმა ს. ქუსიკაშვილმა „გაქცეულ ტახზე" სროლაში დაიკავა II ადგილი — 296, ხოლო „გაქცეულ ირემზე" 50 ერთმაგ გასროლაში III — 213 ქულა.

რ. კაცობაშვილი.

მხარში უდგანან

— ტყვარჩელში თუ მოგიხდათ ჩასვლა, უთუოდ შეიარეთ მეორე საშუალო სკოლაში, — მითხრეს ერთხელ.

და აი, ტყვარჩელში ვარ. მე-2 სკოლაში ფიზაღზრდის მასწავლებლად დ. ლობანკოვი მუშაობს, თავისი საქმის დიდად ერთგული კაცი.

გაიცანით მისი ერთ-ერთი აღზრდილი: ვ. ჯონჯუა. სუსტი აგებულების ჭაბუკი თავდაპირველად ერიდებოდა თურმე თანატოლებთან ერთად ვარჯიშს და ფიზკულტურის გაკვეთილებს ერთთავად აცდენდა. ლობანკოვმა ხერხს მიმართა და ერთ დღეს ყმაწვილს ფეხბურთელთა მატჩის მსაჯობა დაავალა. სწორედ ამ ხერხმა გასჭრა. მერე ჭაბუკმა ფეხბურთის თამაშიც სცადა. მასწავლებელი ყურადღებას არ აკლებდა, მათ ხშირად ნახავდით ერთად. დღეს ვ. ჯონჯუა კარგი ფეხბურთელია, სკოლა რომ დაამთავრა, უკვე მეორეთანრიგოსანი იყო.

„მცირე ოლიმპიური თამაშები" — ასე უწოდეს თავიანთ სასკოლო სპარტაკიადას მეორესკოლელებმა. ეს შეჯიბრება მართლაც პატარა ოლიმპიადა იყო — დროშა საზეიმოდ გამოიტანეს, ალღუმი მოაწყვეს, შეჯიბრების მსვლელობას სკოლის სპორტულ კედლის გაზეთში აშუქებდნენ.

ტურნირის ორგანიზატორები თავად მოსწავლეები არიან. ფიზაღზრდის მასწავლებელი მათ საშუალებას აძლევს გამოიჩინონ თაოსნობა, უხელმძღვანელონ შეჯიბრებებს, იმსაჯონ... მარტო მასწავლებელი ვერც აუვიდოდა საქმეს. ამ სკოლაში ხომ 1200 მოსწავლეა. ვ. ლობანკოვს მხარში უდგანან ა. კორძაია, ვ. კაბალავა, გ. თედეევა, ვ. კულაკოვა...

ვ. ბუკიძე,
(ჩვენი სპეც. კორ.).

ტყვარჩელი.

წერილმა... გზა გვიხსნა...

უცნაური ახირება

დასახლებას თბილის — რუსთავის გზატკეცილის მე-15 კმ-ზე არც ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. ამჟამად აქ რამდენიმე სოლიდური ორგანიზაცია მუშაობს. „მთავარსთფილმშენის" სამშენებლო მასალების კომბინატის ტერიტორიაზე კი პირველი საცხოვრებელი კორპუსის დამთავრებისთანავე გაჩნდა ფეხბურთის მინდორი. ამას წინათ სწორედ აქაური ახალგაზრდები ჩიოდნენ: მინდორი წაგვართვეს და სამაგიეროს არავინ გვიწყობსო.

როგორც კი ჩვენი ჩასვლა შეიტყვეს, წერილის ავტორებმა თავად მოგვაკითხეს, ყოფილი ფეხბურთის მინდორიც გვიჩვენეს და მის სანაცვლოდ გამოყოფილი ნაკვეთიც. ახალი ნაკვეთი წინანდელზე ფართო და მოხერხებულია, მაგრამ... მტვერლეშა და საბურთაოდ არ გამოგვადგებაო.

უერაფერი საბუთია! განა აქ ხანჩივარი საჭირო იყო? ახალგაზრდებს შეეძლოთ თვითონ გამოეღოთ ხელი მოედნის კეთილმოსაწყობად, მათ კი ჯიუტად აუხირებიათ, გინდათ თუ არ გინდათ, ძველი მინდორი დაგვიბრუნეთო.

კომბინატის დირექტორმა ვ. ლაშხმა დაწვრილებით გაგვაცნო დასახლების კეთილმოწყობის გეგმები. იქ, სადაც ფეხბურთის წინანდელი მინდორი ყოფილა, ახლა დიდი ხნის წინ გათვალისწინებული მშენებლობაა დაწყებული. ვ. ლაშხი თავადაც ძალიან გატაცებულია ფეხბურთით და სწორედ მისი თაოსნობით აქ კომპლექსური სპორტული ბაზის მშენებლობაცაა გათვალისწინებული.

კომბინატის ტექნიკური განყოფილების უფროსმა გ. ქაჯაიამ გვითხრა, თუ საერთო საქმეს ხელს მოჰკიდებენ, დახმარებას არც ჩვენ დავაკლებთ ახალგაზრდებსო.

სიტყვამ მოიტანა და ამ დასახლებაში მომუშავე ორგანიზაციებში და ზემოხსენებულ კომბინატშიც ბევრია დაინტერესებული სპორტით, მაგალითად, მაგიდის ჩოგბურთით, ჭადრაკით, შაშით. ამ ინტერესს ხელი უნდა შეუწყონ გარდაბნის რაიონის სპორტკავშირის მუშაკებმაც.

თ. ბაჩიჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

გარდაბნის რაიონი.

შემოწმებამ სხვა გვიჩვენა

ორგანიზებულობა. აი, ყველაზე მეტად რა მომეწონა თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის წვევამდელებისა. ორმოცივე დროულად მოდიოდა სასროლეთზე, აუზზე, სტადიონზე და შედეგები თითქმის ყველასი დამაკმაყოფილებელი იყო. არცაა გასაკვირი: ამ ტექნიკუმის წვევამდელთა ნახევარი ხომ უკვე თანრიგოსანია! პირველი მაისის რაიონის წარმომადგენლებმა სწორედ კარგი ორგანიზაციის წყალობით შეძლეს წვევამდელთა I საქალაქო სპარტაკიადაში გამარჯვების დასაკუთრება.

მაგრამ მომავალ არმიელთა ამ ძალთა შემოწმებას ყველა გულისხმიერად როდი მოეკიდა. მაგალითად, კალინინის რაიონის 100 წვევამდელიდან მძლეოსნურ კროსში საასპარეზოდ მხოლოდ 23 გამოცხადდა, ლენინის რაიონის გუნდიდან კი მსროლელთა შეჯიბრებაში 63 სპორტსმენი ჩაება.

ბევრი წვევამდელი ფიზიკურად და ტექნიკურად მოუმზადებელი იყო. მაგალითად, ა. კარპოვმა (26 კომისრის რაიონი), შ. ჩხიკვაძემ, ო. ცერცვაძემ (ორივე — ორჯონიკიძის რაიონი) და გ. მჭედლიშვილმა (ლენინის რაიონი) სროლაში ვერც ერთი ქულა ვერ მიიღეს. ღერძზე ძალიან სუსტად ივარჯიშეს ა. ხოხობაშვილმა (ოქტომბრის რაიონი), რ. ავოიანმა (26 კომისრის რაიონი), შ. ხორბალაძემ (ორჯონიკიძის რაიონი). ბევრმა მეტისმეტად დაბალი შედეგი აჩვენა ცურვასა და მძლეოსნურ მრავალჭიდში.

რა მუშაობა გასწიეს წვევამდელთა მოსამზადებლად სპორტულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, რაიონის სამხედრო კომისარიატებმა? სპარტაკიადამ ცხადყო, რომ სკოლების ფიზაღზრდის მასწავლებლები და საწარმო-დაწესებულებების ფიზკულტურის ინსტრუქტორები გულისხმიერად არ ეკიდებიან კომპლექსს „მზად ვართ სამშობლოს დასაცავად". სათანადო ანგარიშების მიხედვით თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ პრაქტიკულმა შემოწმებამ სულ სხვა სურათი გვიჩვენა.

ახლა გაგაცნობთ შეჯიბრების ზოგიერთ შედეგს. სროლაში 50-დან 49-49 ქულა დააგროვა სამმა სპორტსმენმა — ს. ბოიაშვილმა (პირველი მაისის რაიონი), ა. ბაკურაძემ და ა. ხაჩიანმა (ორივე — კალინინის რაიონი). გამარჯვება ბოიაშვილს მიეკუთვნა. 8 კილომეტრზე კროსი მოიგო მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის მოსწავლემ გ. გზირიშვილმა — 38.15,0. იგი პირველი იყო 1500 მეტრზე რბენაშიც — 4.30,1. მძლეოსნურ მრავალჭიდში ყველას აჯობა ი. ბარონმა (26 კომისრის რაიონი). მანვე მოიგო 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაც.

ვ. ბუკია.

* * *

სურათზე: კროსში გამარჯვებული გ. გზირიშვილი ასპარეზობისას.

ფოტო ავტორისა.

სამნი — ნაკრებში

აზერბაიჯანში ჩატარდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფეხბურთელთა შეჯიბრება. შესანიშნავად გამოვიდნენ კახის რაიონის ფეხბურთელი გოგონები. მათ ზონალურ თამაშებში მოუგეს ჯალილაბადისა და შამახის სპორტსმენებს, ხოლო ფინალში დამარცხდნენ ნეფთჭალელებთან (1:3) და რესპუბლიკაში II საპრიზო ადგილი დაიკავეს. აღსანიშნავია, რომ კახელი გოგონები ს. აბულაშვილი, ი. თამაზაშვილი და ა. ეფენდიევა შეყვანილი არიან რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრებში.

იასონ ჭაჭაშვილი.

კახი,
აზერბაიჯანის სსრ.

✦ სოხუმი

აქ დამთავრდა „კოლმეურნის" პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრება ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა. სარბიელზე გამოვიდნენ გალის, ოჩამჩირის, გულრიფშის, სოხუმის, გაგრისა და გუდაუთის ნაკრები გუნდები. უძლიერესის სახელი დაისაკუთრა გალის რაიონის ნაკრებმა. II ადგილზე გავიდნენ სოხუმის, III — გუდაუთის სპორტსმენები.

შ. ჯალაღონია.

✦ ცაგერი

გაზეთ „კომუნიზმის სხივის" პრიზზე რაიონის 13 უძლიერესმა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა. გაიმარჯვა ლაჯანის მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ჯ. სალინაძემ. II ადგილი ხვდა ვ. კოპალიანს (სოფ. ლუხვანო), III — ბ. სილაგაძეს (სოფ. ჩხუტელი).

ბ. ხვადაგიანი,
რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

✦ ქარელი

ჩატარდა რაიონის პირველობა პიონერულ ოთხჭიდში. გაიმარჯვეს ავარის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ვლადიმერ კლიმჩუკმა (253 ქულა) და ლიუდმილა დიაკოვამ (255 ქულა).

გ. ლურსმანაშვილი.



ფეხბურთი-68

სსრ კავშირის პირველობა

მინდორზე იყვნენ

კიევი. ცენტრალური სტადიონი. 30 ოქტომბერი.
„დინამო" (კიევი) — „დინამო" (თბილისი) 0:0.
კიევი: რუდაკოვი, მედვიდი, ხოსნიხინი (შკლიარი), ლევჩენკო, კრულიკოვსკი, ტურიანჩიკი, მუნტიანი, საბო, პუზაჩი, სერებრიანიკოვი (ბარკუიანი), ხმელნიცკი.
თბილისი: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ჭოხონელიძე, პეტრიაშვილი, ილიადი, სიჭინავა, მეტრეველი (გ. ნოდია), გავაშელი, მესხი.
მსაჯი ვ. ტოლჩინსკი (ალმა-ათა).
დუბლიორები — 3:1 კიეველთა სასარგებლოდ.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 2 ნოემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (კიევი)	36	21	13	2	58—23	55
„სპარტაკი" (მოსკოვი)	35	19	9	7	58—40	47
„ტორპედო" (მოსკოვი)	35	17	12	6	56—29	46
ცსკა	35	18	9	8	47—30	45
„დინამო" (მოსკოვი)	36	18	8	10	57—32	44
„დინამო" (თბილისი)	35	15	11	9	43—24	41
„დინამო" (მინსკი)	34	15	10	9	44—32	40
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	34	11	14	9	44—41	36
„ლოკომოტივი" (მოსკოვი)	35	10	16	9	34—36	36
„ნეფტჩი" (ბაქო)	35	12	10	13	38—45	34
„ზარია" (ლუგანსკი)	36	10	13	13	23—38	33
„შახტიორი" (დონეცკი)	35	9	13	13	37—38	31
„ზენიტი" (ლენინგრადი)	35	9	13	13	31—45	31
სკა (როსტოვი)	35	10	10	15	38—45	30
„კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)	35	9	11	15	22—35	29
„კაირატი" (ალმა-ათა)	35	10	8	17	28—39	28
„არარატი" (ერევანი)	35	10	7	18	32—45	27
„პახტაკორი" (ტაშკენტი)	35	8	9	18	38—58	25
„ტორპედო" (ქუთაისი)	36	8	9	19	26—48	25
„დინამო" (კიროვაბადი)	35	5	9	21	23—52	19

გოლების ავტორები

სტატისტიკის მოყვარულთ ვთავაზობთ საკავშირო ჩემპიონატის განვლილ მატჩებში გატანილი გოლების ავტორებს.

ცსკა — „ნეფტჩი" 1:2. ბაქოელთა ორივე ბურთის ავტორია ბანიშევსკი, არმიელებისა — დუდარენკო.

„დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (კიროვაბადი) 6:1. მოსკოველთა სრული უპირატესობა აშკარა იყო მთელი მატჩის მსვლელობაში. 4 ბურთი გაიტანა ახალგაზრდა ფორვარდმა ლარინმა, თითო — კოზლოვმა და სიომინმა. ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორია სალახოვი.

„ზენიტი" — სკა (როსტოვი) 0:1. გოლი, რომელმაც არმიელებს მოუტანა გამარჯვება, გაიტანა პროკოფმა.

„ჩერნომორეცი" — „არარატი" 1:0. მასპინძელთა ერთადერთი გოლი გაიტანა შიმანოვიჩმა.

„პახტაკორი" — „შახტიორი" 2:2. ტაშკენტელთა მხრივ გოლების ავტორები არიან ვარიუხინი და დოცენკო, ხოლო სტუმართაგან — ორლოვი და გუბიჩი.

„კაირატი" — „ზარია" 2:0. მასპინძელთა თავდამსხმელებმა კვოჩკინმა და ტიაგუსოვმა ორჯერ აიღეს ლუგანსკელთა კარი.

საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლი გუნდების — მოსკოვის „ტორპედოსა" და „სპარტაკისთვის" დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გუშინწინდელ მატჩს. დასაწყისში დაწინაურდნენ სპარტაკელები (ამბარცუმიანი, ჰუსაინოვი), შემდეგ სტრელცოვმა და მიხაილოვმა გაათანაბრეს ანგარიში — 2:2. მეორე ტაიმში კისელიოვმა კვლავ წინ გაიყვანა „სპარტაკი", მაგრამ გერშკოვიჩმა საბოლოოდ აღადგინა თანაფარდობა — 3:3.

განვლილი, 35-ე ტურის შემდეგ ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთა შორის კვლავ „ორმხრივობაა": ტაშკენტელ ბ. აბდურაიმოვს და ე. სტრელცოვს გატანილი აქვთ 19-19 გოლი.

ბურთი ერთ ტაიმში

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 31 ოქტომბერი.
„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) 4:0 (4:0).
თბილისი: მერიძე, დვალიძე, პანოვი, ფრიდმანი, მირიანაშვილი, შხვაცაბაია, გეგეჭკორი, მაზიაშვილი, ბახტაძე (შეყრილაძე), ხუციშვილი, მესხაძე.
ჩელიაბინსკი: კუზნეცოვი, შავიალოვი, ულიანოვსკი, ბარინოვი, აქსელროდი, ალექსეევი, სარქისოვი, ვასიუკოვსკი, კინზიაკულოვი, მაქსიმენკო (პოდმოსკოვნი), ბრიაბრინი.
მსაჯი ბ. სტრელეცკი (დონეცკი).
დუბლიორები — 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

ჩელიაბინსკის „ლოკომოტივი" „ა" კლასის II ჯგუფის გამოცდილ კოლექტივად ითვლება. თბილისელ თანაკლუბელებთან მატჩის წინ ჩელიაბინსკელი ფეხბურთელები გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ გათამაშების ცხრილში — მოწინააღმდეგეზე 9 ქულით მეტი ჰქონდათ.

ამ მონაცემებიდან გამომდინარე, ბრძოლას დაძაბული ხასიათი უნდა ჰქონოდა და თუ მასპინძლები წარმატებას მიაღწევდნენ, ეს გამარჯვება უნდა მოეტანა მხოლოდ ძალთა უკიდურეს დაძაბვას, შეუპოვარ ბრძოლას. მოხდა კი ისე, რომ უკვე პირველ ტაიმში ტაბლოზე ეწერა 4:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

რა თქმა უნდა, ჩვენი გუნდის ასეთი წარმატება განვლილ მატჩში სასიხარულოა, მაგრამ იგი ერთხელ კიდევ მიუთითებს, რომ თბილისის „ლოკომოტივს" გაცილებით მეტი შეუძლია და მისი პოტენციური შესაძლებლობანი ბევრად აღემატება იმ მოკრძალებულ მაჩვენებლებს, რომლებიც მან მოიპოვა მიმდინარე გათამაშებაში. ცხადია, ჩვენები მუდამ არ თამაშობენ სრული მონდომებით და სწორედ ამის გამო დაბალი ადგილი უკავიათ სატურნირო ცხრილში.

ჩელიაბინსკელებთან თამაში მასპინძლებმა დაიწყეს იმით, რომ უკვე მე-5 წუთზე შხვაცაბაია — ბახტაძის კომბინაცია ზუსტი თავური დარტყმით დაამთავრა ამ უკანასკნელმა და ბურთი თავს ზემოთ გადაუგდო ნაადრევად წინ გამოსულ მეკარეს — 1:0.

თბილისელთა შეტევა არ შეწყვეტილა მთელი ტაიმის მანძილზე. მე-15 წუთზე მაზიაშვილის მიერ დარტყმული ბურთი მოხვდა ჩელიაბინსკელთა ერთ-ერთ მცველს, შეიცვალა მიმართულება და ბადეში აღმოჩნდა.

რამდენიმე სახიფათო იერიში განახორციელეს სტუმრებმაც, მაგრამ თბილისელთა დაცვა უშეცდომოდ თამაშობდა.

ტაიმის დასასრულს ხუციშვილმა ძლიერი, ზუსტი დარტყმით მესამე გოლი გაიტანა, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ მანვე მეოთხედ აიძულა კუზნეცოვი გამოეტანა ბადიდან ბურთი.

შესვენების შემდეგ ჩელიაბინსკის „ლოკომოტივმა" შეძლო მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ ვერ მოახერხა ცვლილების შეტანა ანგარიშში.

რ. ქორიძე.

* * *

სურათზე: თბილისის „ლოკომოტივის" თავდამსხმელი ე. ხუციშვილი მოწინააღმდეგე მეკარესთან ბრძოლის მომენტში.

ფოტო ე. რუსაკისა.

წვიმაში...

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 31 ოქტომბერი.
„დინამო" (ბათუმი) — „ვოლგა" (გორკი) 0:0.
„დინამო": მორჩილაძე, ჩხაიძე, ქორიძე, სირბილაძე, გიორგიადი, ილურიძე, ზაბიბულინი, ოვანესიანი, რ. გაგუა, მაისურაძე, აპრესიანი.
„ვოლგა": ფედულოვი, ლუნინი, კარასიოვი, ნიკოლაევი, ჟურავლიოვი, სელივანოვსკი, ფილიაკინი, შჩერბაკოვი, ვ. ფომინი, ნ. ფომინი, ანიკინი.
მსაჯი ი. მამედ-ზადე (კიროვაბადი).
დუბლიორები — 2:2.

პირველ წრეში ბათუმის დინამოელებმა გორკში სასტიკი მარცხი იწვნიეს ანგარიშით 1:6. გასაგებია რევანშის ის წყურვილი, რომელიც ბათუმელ ფეხბურთელებს ამოქმედებდა, მაგრამ 2 ქულა ძალიან აინტერესებდათ სტუმრებსაც, ვინაიდან გამარჯვების შემთხვევაში ისინი გათამაშების ცხრილში II ადგილზე გადადიოდნენ.

ეს გარემოება მაყურებლებს საინტერესო ბრძოლას ჰპირდებოდა. მაგრამ გადაუღებელი წვიმის შემდეგ მინდორი ერთიანად წყლის გუბეებით იყო დაფარული და ფეხბურთელებს არ ჰქონდათ საშუალება რამდენადმე მაინც გამოეჩინათ თავიანთი ოსტატობა.

მასპინძლებმა შეძლეს საერთო უპირატესობის მოპოვება. რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო წყლიან მინდორზე, ისინი ენერგიულად უტევდნენ.

მე-16 წუთზე გიორგიადიმ და მაისურაძემ გაითამაშეს კომბინაცია, რაც დამთავრდა კარში ძლიერი დარტყმით, ფედულოვმა შეძლო ძნელი ბურთის მოგერიება კუთხურზე. ამის შემდეგ საუკეთესო პოზიციაში აღმოჩნდა აპრესიანი, მაგრამ მან ეს ხელსაყრელი შესაძლებლობა ხელიდან გაუშვა. რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდათ გორკელებსაც, კერძოდ, მორჩილაძეს ძნელი ბურთის აღება მოუხდა ვ. ფომინისაგან.

დინამოელები განაგრძობდნენ იერიშს მეორე ტაიმშიც. 77-ე წუთზე მაისურაძემ ღიად დარჩენილი კარის წინ გაიყვანა გაგუა და ამ უკანასკნელმა დაკარგა გოლის გატანის ასპროცენტიანი შანსი.

ო. მურვანიძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

სხვა მატჩები

გუშინწინ გაიმართა სხვა შეხვედრებიც: „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ზვეზდა" (პერმი) 0:0, „თერეკი" (გროზნო) — „ზენიტი" (იჟევსკი) 3:0, „დინამო" (მახაჩყალა) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 1:0, „ფოლადი" (სუმგაითი) — „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) 3:2, „ვოლგა" (ულიანოვსკი) — „ვოლგარი" (ასტრახანი) 0:0, „მეშახტე" (ტყიბული) — „რუბინი" (ყაზანი) 1:0, „ტორპედო" (ტაგანროგი) — „სტროიტელი" (უფა) 1:1.

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

ადგილები ასე განაწილდა

ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით საქართველოს ახალგაზრდა ფეხბურთელთა წარმატებაზე, რომელიც მათ მოიპოვეს „იმედის თასის" საკავშირო გათამაშებაში. ჩვენმა ფეხბურთელებმა დაიკავეს I ადგილი და მიიღეს ოქროს მცირე მედლები. II ადგილზე გავიდა მოსკოვის გუნდი, ხოლო სომხეთის წარმომადგენლებმა მოიხვეჭეს ბრინჯაოს მედლები.

ბარჯა დაუფასდა

„იმედის თასის" VI საკავშირო გათამაშებაში გამარჯვებული საქართველოს ნაკრების კარგად მომზადებისთვის და მაღალკვალიფიციური ფეხბურთელების აღზრდისთვის საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით გუნდის უფროს მწვრთნელს ა. ვარდიაშვილს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

მტკივნეული საკითხის მოსაგვარებლად

გუნდიდან გუნდში ფეხბურთელთა გადასვლის გამო

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ შეიმუშავა და დაამტკიცა ახალი ინსტრუქცია, რომელიც განსაზღვრავს „ა" და „ბ" კლასების ოსტატთა ერთი გუნდიდან მეორეში ფეხბურთელთა გადასვლის საკითხს.

მოთამაშეთა ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლა ნებადართულია მათი სპორტული ოსტატობის ზრდის, ნიჭისა და შესაძლებლობათა დროული გამომჟღავნებისა და მაღალი კლასის კოლექტივების შექმნის მიზნით. მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა არსებული წესების დარღვევას, მიზანშეუწონელ გადანაცვლებებს და შეუსაბამობებს. ამასთან დაკავშირებით ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ გაითვალისწინა, რომ მოთამაშეთა გადასვლა უნდა ხორციელდებოდეს საბჭოთა სპორტის პრინციპების შესატყვისად და უპასუხებდეს საბჭოთა მორალისა და ეთიკის მაღალ მოთხოვნებს. მის მიერ შემუშავებული ახალი ინსტრუქცია, უპირველესად ყოვლისა, სწორედ ამ მოთხოვნებს ეფუძნება.

„ა" კლასის I ჯგუფის მოთამაშეს უფლება აქვს გადავიდეს სხვა ჯგუფში მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადრინდელში სულ ცოტა სამ წელიწადს დაჰყო. მაგრამ, თუ „ა" კლასის მოთამაშეს ძირითად შემადგენლობაში სსრ კავშირის პირველობებზე და თასზე ნათამაშევი აქვს 80 პროცენტზე ნაკლები, მას უფლება აქვს სხვა გუნდში გადავიდეს 2 წლის შემდეგაც.

„ა" კლასის II ჯგუფის გუნდის მოთამაშეს უფლება აქვს უმაღლესი ლიგის კოლექტივში გადავიდეს ამ შეზღუდვის გარეშე, ე. ი. ყოველწლიურად, მაგრამ ამავე კატეგორიის გუნდებში, მხოლოდ თავის კოლექტივში თამაშის 3 წლის შემდეგ. იგივე წესი ვრცელდება „ბ" კლასის მოთამაშეებზეც.

საერთოდ, ოსტატთა გუნდებში თამაშის პერიოდში ფეხბურთელს უფლება აქვს გუნდი გამოიცვალოს სულ სამჯერ. ერთი სეზონის მანძილზე „ა" კლასის I ჯგუფის ოსტატთა გუნდიდან სხვა კოლექტივში გუნდის თანხმობის გარეშე წასვლის უფლება არა აქვს ორ მოთამაშეზე მეტს, ხოლო „ა" კლასის II ჯგუფის გუნდებიდან — სამ მოთამაშეზე მეტს. ასევე, ერთ სეზონში „ა" კლასის I ჯგუფის გუნდებში არ შეიძლება იმავე ჯგუფის სხვა გუნდებიდან ორ მოთამაშეზე მეტის მიღება (II ჯგუფიდან შეიძლება 5 მოთამაშის მიღება).

არმიის ოსტატთა გუნდების მოთამაშეები დემობილიზაციის შემდეგ უფლებას ინარჩუნებენ ითამაშონ ოსტატთა ნებისმიერ გუნდში.

ოსტატთა გუნდის მოთამაშეს, რომელიც გათავისუფლებულია კოლექტივიდან გამოუყენებლობის გამო, უფლება აქვს ითამაშოს ოსტატთა სხვა გუნდში წინამდებარე ინსტრუქციის დებულებათა შესატყვისად.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მიერ დისკვალიფიცირებულ ფეხბურთელებს დისკვალიფიკაციის ვადის მანძილზე უფლება არა აქვთ გადავიდნენ სხვა გუნდებში.

მოთამაშეთა გადასვლა „ა" კლასის ერთი და იგივე ჯგუფის ფარგლებში, „ბ" კლასში, აგრეთვე, მაღალი კლასიდან დაბალში, ხორციელდება ყოველი წლის 1 დეკემბრიდან 31 დეკემბრამდე.

„ა" კლასის II ჯგუფის გუნდების მოთამაშეთა გადასვლა უმაღლესი ლიგის კოლექტივებში ნებადართულია II ჯგუფის საკავშირო პირველობის მეორე წრის დაწყებამდე, ხოლო „ბ" კლასის მოთამაშეთა გადასვლა „ა" კლასში — 1 სექტემბრამდე.

თუ მოთამაშე მიიწვიეს მაღალ კლასში, მაგრამ თავისი სპორტული მონაცემებით შესაფერისი არ აღმოჩნდა, მას უფლება აქვს დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს თავის ძველ გუნდს (მეორე წრის დაწყებამდე), ხოლო თუ მოთამაშე გათავისუფლებულია გუნდიდან გამოუყენებლობის გამო, მას უფლება აქვს გადავიდეს სხვა გუნდში იმ კოლექტივების შეჯიბრების II წრის დაწყებამდე, საიდანაც გათავისუფლებულ იქნა.

„ა" კლასის ოსტატთა გუნდების მოთამაშეთა გადასვლას ნებას რთავს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია, ხოლო ორგანოს, რომელიც რწმუნებულია გადაწყვიტოს ეს საკითხები, წარმოადგენს მისი სპორტულ-ტექნიკური კომისია.

გუნდიდან გუნდში მოთამაშეთა გადასვლის საკითხის განხილვისას სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია შეეკითხება დაინტერესებულ რესპუბლიკურ ფედერაციებს, აგრეთვე, სხვა შესაბამის სპორტულ ორგანიზაციებსა და უწყებებს, ანგარიშს უწევს მათ შეხედულებას.

„ბ" კლასის მოთამაშეთა გადასვლას მოკავშირე რესპუბლიკის ფარგლებში ახდენენ რესპუბლიკური ფედერაციები წინამდებარე ინსტრუქციის პუნქტების გათვალისწინებით, ხოლო თუ ასეთი მოთამაშეები გადადიან ერთი მოკავშირე რესპუბლიკიდან მეორეში, საკითხს წყვეტს საკავშირო ფედერაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სენსაციის ავტორია რაუზა ისლანოვა

უამინდობამ სსრ კავშირის ჩოგბურთელთა ჩემპიონატის განრიგი სულ აურდაურია. სწორედ წვიმის ბრალი იყო, რომ ერთ დღეს საერთოდ არ გამართულა შეხვედრები. გაუთვალისწინებელი შესვენების შემდეგ შეჯიბრების მონაწილენი და მაყურებლები პირველი სენსაციის მოწმენი გახდნენ. ეს გუშინწინ მოხდა, ქალთა ერთეულების ერთ-ერთი მეოთხედფინალური მატჩის დროს. სენსაციის ავტორად მოგვევლინა რ. ისლანოვა, რომელმაც ძალიან დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა უკვე საერთაშორისო სარბიელზე აღიარებული ო. მოროზოვა. ამ უკანასკნელმა პირველი ხელი იოლად მოუგო (6:1) მეტოქეს, მაგრამ მომდევნო ორი პარტია ისლანოვამ უაღრესად მიზანდასახულად და ოსტატურად, გამარჯვების დიდი რწმენით ჩაატარა და კიდევაც იზეიმა წარმატება — 8:6, 8:6. ნახევარფინალში ისლანოვას მეტოქე იქნება ტ. კივი, რომელმაც ამ ეტაპზე თამაშის უფლებისთვის მოუგო ბრძოლა მ. ჩუვირინას — 6:2, 7:5.

მეორე ნახევარფინალური წყვილია გ. ბაკშეევა და ტ. სიმსონი. პირველმა მეოთხედფინალში დაამარცხა ვ. ზინკევიჩი — 6:4, 6:3, ხოლო მეორემ— თბილისელი ა. ივანოვა — 6:4, 1:6, 6:4. ახლა თბილისელი ჩოგბურთელი მხოლოდ V-VIII ადგილებისთვის იასპარეზებს.

ვაჟთა ერთეულების მეოთხედფინალურ მატჩებში დიდ ინტერესს იწვევდა თბილისელი ა. მეტრეველისა და ლენინგრადელი ა. ივანოვის შეხვედრა. მოლოდინი არ გამართლდა. მასპინძელმა ამჯერადაც იოლად გაიმარჯვა — 6:2, 6:3, 6:4. ნახევარფინალში მეტრეველის მეტოქე იქნება მისი ტრადიციული თანამეწყვილე, ბაქოელი ს. ლიხაჩოვი. ბაქოელმა ეს უფლება ხ. სეპთან შეხვედრის შემდეგ მოიპოვა— 5:7, 6:3, 6:2, 6:4.

ვ. ეგოროვმა მოუგო ს. ევინგს — 6:2, 6:4, 6:4, ხოლო თ. ლეიუსმა — ვ. პესჩანკოს — 6:2, 6:8, 6:3, 6:3. ასე რომ, მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ დადგებიან ეგოროვი და ლეიუსი.

შერეულ წყვილთა თანრიგში მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართა. ო. მოროზოვამ და ა. მეტრეველმა იოლი გამარჯვება იზეიმეს ვ. ზინკევიჩთან და ე. ლანგესთან — 6:3, 6:3, ე. იზოპაიტისმა და ბ. ლუნინმა — თ. ჩალკოსთან და ვ. რუბანოვთან — 6:1, 6:3, გ. ბაკშეევამ და თ. ლეიუსმა — ლ. მგალობლიშვილთან და ნ. აკსანოვთან — 6:3, 6:3. აქ მხოლოდ ერთი შეხვედრა იყო რამდენადმე დაძაბული: რ. აბჟანდაძემ და რ. სივოხინმა ტ. კულსა და ა. ივანოვს პირველი ხელი სწრაფად მოუგეს (6:1), მეორე პარტიაში კი მეტისმეტად მწვავე ბრძოლა გაჩაღდა, მაგრამ აბჟანდაძემ და სივოხინმა საბოლოოდ მაინც იმარჯვეს— 9:7.

ქალთა წყვილების ფინალში გავიდნენ ო. მოროზოვა, თ. ჩალკო და გ. ბაკშეევა, მ. ჩუვირინა. პირველმა დუეტმა დაამარცხა რ. ისლანოვა და ა. ივანოვა (თბილისი) — 6:3, 6:2, მეორემ — ა. ერემეევა და ე. კრიუჩკოვა — 6:4, 6:4.

ვაჟთა წყვილების ფინალში იოლად გავიდნენ თ. ლეიუსი და ვ. ეგოროვი. მათ ნახევარფინალში დაამარცხეს პ. ლამპი და ა. იუხველტი — 6:4, 6:2, 6:2. ცოტა დააკლდა, მეორე სენსაციაც არ მოხდა: ა. მეტრეველსა და ს. ლიხაჩოვს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ა. ივანოვმა და ვ. პალტმანმა. შეხვედრაში ხუთივე ხელი გათამაშდა და მეტრეველმა და ლიხაჩოვმა მხოლოდ გადამწყვეტ პარტიაში შეძლეს ფინალის საგზურის მოპოვება — 6:2, 3:6, 7:5, 4:6, 6:1.

გ. ქავთარია.

• • •

სურათზე: სენსაციის ავტორი რ. ისლანოვა.

ფოტო ბ. გიგაურისა.

გამარჯვება მწვავე ბრძოლაში

ლუგანო, 31 ოქტომბერი. სსრ კავშირის გუნდი ამარცხებს ამერიკელ მოჭადრაკეებს: ჯერჯერობით ანგარიშია 2,5:0,5. ეს უაღრესად მწვავე ბრძოლა საჭადრაკო ოლიმპიადის მაყურებელთა ყურადღების ცენტრში მოექცა. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ვ. სმისლოვმა შედარებით იოლად (27-ე სვლაზე) მოუგო პარტია დ. ბირნს. დანარჩენი 3 შეხვედრა 5-საათიანი ბრძოლის შემდეგ დაუმთავრებელი დარჩა.

პირველ დაფაზე მოთამაშე ტ. პეტროსიანი ამერიკელ ვეტერანს ს. რეშევსკის შეხვდა. მათი დაძაბული ბრძოლა შესვენების წინ ეტლების დაბოლოებაში გადავიდა, სადაც მსოფლიოს ჩემპიონი თვალსაჩინო უპირატესობას ინარჩუნებდა. საშინაო ანალიზის შემდეგ რეშევსკი დარწმუნდა შემდგომი წინააღმდეგობის უსაფუძვლობაში და დღეს დილით მსაჯთა კოლეგიას აცნობა თავისი კაპიტულაცია.

ე. გელერი პ. ბენკოსთან გადადებულ შეხვედრაში ყაიმს დასჯერდა, ბ. სპასკისა და ლ. ევანსის პარტია ჯერ არ დამთავრებულა.

დიდი ინტერესი გამოიწვია ჩეხოსლოვაკიისა და დანიის გუნდების შეხვედრამ. ოლიმპიადაში კარგად მოთამაშე ახალგაზრდა დიდოსტატმა ვ. ჰორტმა ფარ-ხმალი დააყრევინა მსოფლიო პირველობის ერთ-ერთ პრეტენდენტს, დანიელ დიდოსტატ ბ. ლარსენს. მატჩის ანგარიშია 3:1 ჩეხოსლოვაკიელთა სასარგებლოდ.

ამ ტურის დანარჩენი შეხვედრების შედეგებია: პოლონეთი — კანადა 3:1, იუგოსლავია — ფილიპინები 3:0 (1 პარტია გადადებულია), გდრ — გფრ 1:1 (2), არგენტინა — ბულგარეთი 2:1 (1), უნგრეთი — რუმინეთი 1,5:1.5 (1).

მთავარ ფინალურ ტურნირში სსრ კავშირ — უნგრეთის ადრე გადადებული მატჩის დამთავრების შემდეგ ანგარიშია 3:1 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ (ბ. სპასკი — ლ. პორტიში 0,5:0,5, ლ. პოლუგაევსკი — ლ. ლენდიელი 1:0).

ლუგანო, 1 ნოემბერი. საჭადრაკო ოლიმპიადის VII ტურში საბჭოთა გუნდმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ სძლია არგენტინელებს — 2,5:1,5.

პირველ დაფაზე თეთრებით მოთამაშე მ. ნაიდორფი ყაიმზე შეუთანხმდა ბ. სპასკის. ასეთივე შედეგით დამთავრდა ვ. კორჩნოი — ო. პანოსა და ე. გელერ — რ. სანგინეტის პარტიები. მატჩის ბედი გადაწყვიტა ლ. პოლუგაევსკისა და ჰ. როსეტოს შეხვედრამ: გაიმარჯვა საბჭოთა მოჭადრაკემ. მსოფლიოს ჩემპიონი ტ. პეტროსიანი და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი ამ დღეს ისვენებდნენ.

ამრიგად, მთავარი ფინალური ტურნირის პირველი ნახევრის (7 ტური) შემდეგ ლიდერობენ საბჭოთა მოჭადრაკეები, რომლებსაც 21 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვთ. II ადგილზე არიან იუგოსლავიელები, რომლებიც ბულგარელებთან მატჩში ჯერჯერობით ყაიმს (1,5:1,5) სჯერდებიან (ს. გლიგორიჩმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა მ. ბობოცოვთან). ერთი პარტია გადადებულია. იუგოსლავიელები ლიდერებს 2,5 ქულით ჩამორჩებიან.

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: აშშ — უნგრეთი 2,5:1,5 (ს. რეშევსკი—ლ. პორტიში 0,5:0,5), დანია—გფრ 2:2 (ბ. ლარსენმა მოუგო ვ. უნციკერს), პოლონეთი — ფილიპინები 2,5:1,5, გდრ — კანადა 1:1 (2), რუმინეთი — ჩეხოსლოვაკია 1,5:1,5 (1).

VIII ტურში ერთმანეთს ხვდებიან ლიდერები — საბჭოთა და იუგოსლაველი მოჭადრაკეები.

ჭადრაკის მერიდიანზე

ბერლინი. ჟურნალი „შახი" (გდრ) იუწყება, რომ 10 ნოემბერს აქ დაიწყება დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, მიძღვნილი გამოჩენილი გერმანელი დიდოსტატის ე. ლასკერის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი. ტურნირში მიწვეულია 16 ცნობილი დიდოსტატი, მათ შორის (თამაშზე თანხმობა რომ განაცხადეს), მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ბოტვინიკი, ლ. შტეინი (ორივე — სსრ კავშირი), ლ. პორტიში, ლ. საბო (ორივე — უნგრეთი), ნ. ნაიდორფი (არგენტინა), ფ. ოლაფსონი (ისლანდია), ვ. ჰორტი, ლ. კავალეკი (ორივე — ჩეხოსლოვაკია), ფ. გეორგიუ (რუმინეთი), მ. ბობოცოვი (ბულგარეთი), ვ. ულმანი, ვ. პიტჩი (ორივე — გდრ) და სხვ.

ლასკერის მემორიალის მთავარ მსაჯად მიწვეულია საბჭოთა დიდოსტატი ს. ფლორი.

ცინოვიცი. გდრ-ის ამ ქალაქში დამთავრდა ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც 14 ოსტატი მონაწილეობდა. I ადგილი დაიკავა უნგრეთის ჩემპიონმა მ. ივანკამ — 10 ქულა.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

•

საჭესთან — რ. კონცევიჩი

მას შემდეგ, რაც პოლონეთის ფეხბურთელთა ნაკრების სათავეში გამოცდილი რ. კონცევიჩი დააბრუნეს, ამ გუნდის საქმე კარგად წავიდა. პოლონელ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ მათი ნაკრები ახლა ჩინებულ ფორმაშია და კარგად მოემზადა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი თამაშებისთვის.

წლევანდელ სეზონში პოლონელებმა სძლიეს თურქებს (8:0), ნორვეგიელებს (6:1), ფრედ ითამაშეს ჩრდილოეთ ირლანდიისა (0:0) და ირლანდიისთან (2:2) და მხოლოდ ბრაზილიელებთან წააგეს (3:6).

კონცევიჩი თავისი გუნდის უძლიერეს რგოლად თავდასხმას თვლის, მაგრამ მიაჩნია, რომ ჯერ კიდევ არა ჰყავს ძლიერი სათადარიგო მოთამაშეები.

ზეელერი — ნახევარმცველი

ამას წინათ უ. ზეელერმა ჟურნალისტებს განუცხადა: „რამდენიმეჯერ მომიხდა გფრ-ის ნაკრებში გამოსვლა და მწვრთნელები მუდამ ცენტრალური თავდამსხმელის მოვალეობას მაკისრებდნენ. ახლა კი, ჩემს ასაკში, გამოცდილ მოთამაშეს უფრო ნახევარმცველობა შეჰფერის. მეც სწორედ გამთამაშებელ ნახევარმცველად ვიქეც „ჰამბურგერ შპორტფერაინში". რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის პრეტენზია აღარა მაქვს: 31 წლის ასაკში დროა დიდ ფეხბურთს თანდათან ჩამოსცილდე. რაც შეეხება ბუნდესლიგას, აქ კიდევ 2 წელს ვაპირებ თამაშს".

„მეტოქე საწინააღმდეგო მხარესაა!"

ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ჟ. პინჰეირომ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო იმით, რომ 10 ბურთი აქვს გატანილი... საკუთარ კარში. მაშინ მწვრთნელმა გაითვალისწინა ამ მცველის კარგი ტექნიკა და დიდი სისწრაფე, კვალიფიკაცია შეუცვალა მას და მარცხენა გარემარბობა დააკისრა. არც ამან უშველა პინჰეიროს—მოხდა ისე, რომ მან ახალი როლის შესრულების დროსაც გაიტანა გოლი საკუთარ კარში.

როდესაც პინჰეიროს 25 წელი შეუსრულდა, თანაგუნდელებმა კომპასი აჩუქეს ასეთი წარწერით „მეტოქე საწინააღმდეგო მხარესაა!"

ისევ მოყვარული ხდება

ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი ლ. მიულერი (მან 1958 წელს თბილისში ითამაშა „სტად დე რეიმსის" შემადგენლობაში) რამდენიმე სეზონის განმავლობაში გამოდიოდა „რეალში" (მადრიდი), ხოლო შემდეგ „ბარსელონაში" გადავიდა. ახლა მიულერს, ეტყობა, ყავლი გაუვიდა და როგორც „ფრანს-ფუტბოლი" იუწყება, ამიერიდან ისევ სამოყვარულო ფეხბურთს უბრუნდება. მიულერი ჩაირიცხა კვლავ იმ „სტად დე რეიმსში" (II ლიგა), საიდანაც დაიწყო თავისი კარიერა.

არაოფიციალური ცნობებით

როგორც ვენის „ფოლკსშტიმე" იუწყება, იტალიის პირველი ლიგის გუნდები არაფრად აგდებენ ფეხბურთის ეროვნული ფედერაციის დებულებას მოთამაშეთა და მწვრთნელთა ხელფასის შესახებ. ზოგიერთ მათგანს ისეთ თანხას უხდიან, რომელიც არავითარი ხელშეკრულებით არაა გათვალისწინებული.

ყველას „რომამ" გადააჭარბა, რომელმაც ერთწლიანი ხელშეკრულება დადო მწვრთნელ ე. ერერასთან. გუნდის მესვეურებმა მწვრთნელს აღუთქვეს (რასაკვირველია, ეს არავითარ საბუთში არაა ფიქსირებული), რომ იგი სეზონის მანძილზე დაახლოებით 90 მილიონ ლირას მიიღებს.

ალტაფინი („ნაპოლი"), ჰალერი („იუვენტუსი"), სუარესი („ინტერი"), ანასტაზი („იუვენტუსი") და ბულგარელი („ბოლონია") მიიღებენ დაახლოებით 50 მილიონ ლირას.

„იუვენტუსის" სამი იმედი

როგორც „იუვენტუსის" მთავარმა მწვრთნელმა ერიბერტო ერერამ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, მისი გუნდი ეცდება დაიბრუნოს იტალიის ჩემპიონობა და საამისო ნაბიჯებიც გადადგა — 3 ცნობილი ფორვარდი შეიძინა.

20 წლის ცენტრალურ თავდამსხმელ ანასტაზიში „იუვენტუსმა" „ვარეზეს" გადაუხადა სარეკორდო თანხა — 660 მილიონი ლირა. 400 მილიონი ლირა მისცეს „ბოლონიას" ცნობილ გერმანელ თავდამსხმელ ჰალერში და 350 მილიონ ლირად შეიძინეს ახალგაზრდა თავდამსხმელი ბენეტი („პალერმოდან").

ჰიდენის მძიმე ოპერაცია

ლეგენდარული რ. ჰიდენი (ავსტრია) ფეხბურთის ისტორიკოსებმა მიაკუთვნეს ომამდელ დიდ მეკარეთა სამეულს — რ. ზამორასა (ესპანეთი) და ფ. პლანიჩკასთან (ჩეხოსლოვაკია) ერთად. „ვუნდერტიმის" ამ შესანიშნავი მეკარის ცხოვრება ომის შემდეგ ძალიან ცუდად წარიმართა. საფრანგეთში და იტალიაში ემიგრაციამ ავსტრიელი ფეხბურთელის მძიმე ხვედრი ვერ გააუმჯობესა.

როგორც ვენის გაზეთი „ფოლკსშტიმე" იუწყება, ამას წინათ ჰიდენს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ფეხი მოჰკვეთეს. ახლა ჰიდენი ცხოვრობს იმ თანხით, რომელიც მისმა ყოფილმა კლუბმა „ვინერ შპორტკლუბმა" და ავსტრიელმა გულშემატკივრებმა მოუგროვეს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისი სპორტულ აფიშა

ფეხბურთი. „სინათლის" სტადიონი (ავჭალის გზატკეცილი). 3 ნოემბერი. საქართველოს პირველობა. „სინათლე" (თბილისი) — „ფეიქარი" (წულუკიძე). დასაწყისი 13 ს. „ლოკომოტივის" სტადიონი. 4 ნოემბერი. „ა" კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფი. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი). ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 16 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04308